სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად **რექტორის 2015 წლის 23 იანვრის ბრძანება №15/01–01** საფუძველზე **ქიმიის მიმართულებაზე, ქვემიმართულება: ფიზიკური და ანალიზური ქიმია** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2015 წლის 23 თებერვლის №31/2015** დადგენილების მე-7 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი 9 მარტი, 2015 წელი.
10:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: 1. ბეჟან ჭანკვეტაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ნინო თაყაიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი); 3. ქრისტინა გიორგაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; 4. ანტონინა მსხილაძე - ქიმიის დოქტორი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქიმიის მიმართულებაზე, ქვემიმართულება - ფიზიკური და ანალიზური ქიმია** ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქიმიის მიმართულებაზე, ქვემიმართულება - ფიზიკური და ანალიზური ქიმია** ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში პრეტენდენტებს შორის განსხვავება მოხდა მათ მიერ წარმოდგენილი ანკეტური მონაცემების საფუძველზე. გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კომისიამ ორივე პრეტენდენტის პასუხი (ერთხმად) დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:
ქვემიმართულება – ფიზიკური და ანალიზური ქიმია
გიორგი ჯიბუტი – ასისტენტ პროფესორი.

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:		ბ. ჭანკვეტაძე
კომისიის მდივანი:		ნ. თაყაიშვილი
კომისიის წევრები:		ქ. გიორგაძე
		ა. მსხილაძე